



საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

მოდულურ პროგრამაზე შეფასების სისტემასთან დაკავშირებული დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს - საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგის საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - მოდულური პროგრამის) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის წესს.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და მოდულის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით კალენდარულ გეგმებს და შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული ხარისხის მენეჯერს და უთანხმებს განათლების მასწავლებლებს.
2. მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასება არსებობს:
 - ა) განმავითარებელი;
 - ბ) განმსაზღვრელი.
 - განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
 - განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

მუხლი 3. შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია

1. მოდულის სწავლის შედეგის დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლის შედეგების დასადასტურებელ შეფასების ინსტრუმენტს შესათანხმებლად წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს,
2. ხარისხის მართვის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი სწავლის შედეგების დადასტურებამდე 20 დღით ადრე მოდულის განმახორციელებელ პროფესიული

განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან:

- ა) არის თუ არა სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება;
- ბ) არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი;
- გ) არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი.

1. რეკომენდებულია განმეორებითი შეფასებისას პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ გამოყენებულ იქნას შეფასების ახალი ინსტრუმენტები.

მუხლი 4. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა

შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. მოდულის დასახელება;
2. სწავლის შედეგის დასახელება;
3. ინსტრუმენტის დასახელება
4. ინსტრუქტაჟი სტუდენტისათვის (დავალების შესრულების დრო, სხვა პირობები თუ ის განსხვავდება ზოგადად დადგენილი პირობებისაგან, მაგალითად სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების უფლება, ჯგუფური/ინდივიდუალური სამუშაო, დავალების წარმოდგენის ფორმა და სხვა);
5. ინსტრუმენტის შინაარსი;
6. შეფასების კრიტერიუმები;
7. შესრულების მტკიცებულება;
8. შემფასებელი/ განმახორციელებელი პირი
9. ხარისხის მენეჯერის ხელმოწერა
10. სტუდენტების ხელმოწერა

მუხლი 5. შესრულების მტკიცებულება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური სახით - მტკიცებულებებით, რომელთა სახეობები განისაზღვრება შესაბამისი მოდულური პროგრამით.
2. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებულ დადასტურებას. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს და უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. შეგროვების შემდეგ შესრულების მტკიცებულებები გადაეცემა სასწავლო პროცესის მენეჯერს და ინახება სტუდენტის პორტფოლიოში 5 წლის ვადით, ხოლო შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტები (უწყისები) სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა სასწავლო პროცესის მენეჯერს და ინახება მუდმივად.

მუხლი 6. მოდულის ყველა შედეგის დადასტურება

1. მოდულის ყველა შედეგის დადასტურების შემდეგ დგება პროფესიული სტუდენტის დასკვნითი შედეგის დადასტურებასთან დაკავშირებით შექმნილი საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი, რომელსაც ერთვის კოლეჯის დირექტორის მიერ დამოწმებული შეფასების უწყისი, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ხარისხის მართვის მენეჯერი ადგენს მოდულური პროგრამის შემაჯამებელ უწყისს, სადაც მითითებულია პროგრამით გათვალისწინებული მოდულების შეფასებები ყველა სტუდენტზე.
2. განმსაზღვრელი შეფასებისას, თუ მოდულური პროგრამის შესაბამისი მოდული წარმოდგენილია წინაპირობის გარეშე, აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.
3. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს, შესაბამის მოდულზე (რომელსაც აქვს შესაბამისი წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 2 მცდელობის მიუხედავად სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.

მუხლი 7. კვალიფიკაციის მინიჭების წესი

1. მოდულური პროგრამის კონკრეტული საფეხურის პროფესიული სტუდენტების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის დადასტურების შემდეგ მათთვის შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება კომისიური წესით, საკვალიფიკაციო კომისიის მიერ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით და მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
2. საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში უნდა ფიქსირდებოდეს საწარმოს და კოლეჯის წარმომადგენლები;
3. საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში არ უნდა შედიოდეს პირი, რომელიც მონაწილეობდა გამოსაცდელის სწავლების პროცესში;
4. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომესაც სავალდებულოდ ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები
5. მოდულური პროგრამების შემთხვევაში, სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის კალენდარული გეგმისა და მოდულის გათვალისწინებით, მოდიფიცირებულ სასწავლო მასალას განსაზღვრავს და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს (შემდგომში - ისგ) პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.



საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

უწყისის შევსების და რეგისტრაციის წესი:

1. საზოგადოებრივი კოლეჯის ლოგო
2. საზოგადოებრივი კოლეჯის დასახელება
3. პროფესიული პროგრამის ხელმოწერა
4. პროფესიული პროგრამის საფეხური
5. პროფესიული პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ჯგუფის ნომერი
6. მოდულის დასახელება
7. კრედიტების რაოდენობა
8. პროფესიული განათლების მასწავლებელი
9. შედეგში განსაზღვრული შეფასების მეთოდი
10. სწავლის შედეგის თარიღი/უწყისის დახურვის თარიღი;
11. შემფასებლის ან შემფასებლების სახელი და გვარი, თუ შეფასება განახორციელა რამდენიმე პირმა.
12. სტუდენტის შეფასება: „დადასტურდა“ ან „არ დადასტურდა“;

რეგისტრაციის წესი:

1. უწყისის მენეჯერისათვის ჩაბარების ვალდებულება ეკისრება შემფასებელს, ხოლო რამდენიმე შემფასებლის შემთხვევაში - დაეკისრება ერთ შემფასებელს შეფასებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.
2. უწყისით გაფორმებული შეფასება ძალაში შედის სასწავლო პროცესის მენეჯერისათვის მისი ჩაბარების და ხარისხის მენეჯერის მიერ უწყისის ხელმოწერის მომენტიდან.
3. სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალდებულია შემფასებელს უწყისთან ერთად მოსთხოვოს შესრულების მტკიცებულებების წარმოდგენა და ჩაიბაროს, გაატაროს ჟურნალში, მიეთითოს ჩაბარების თარიღი.